


13 აპრილს, 19:00 საათზე ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გაიხსნება გამოფენა „აღდგომიდან ამაღლებამდე - სიუჟეტები ხელნაწერი მემკვიდრეობიდან“

.

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ხელნაწერი მემკვიდრეობა მრავალფეროვანია შინაარსისა და ჟანრის მიხედვით: ბიბლიური ტექსტები, ისტორია, ლიტერატურა, ასტრონომია, ქიმია, გეოგრაფია, მუსიკის ისტორია და სხვ. ბიბლიურ ხელნაწერებს შორის გამოირჩევა რიგი სახარების ხელნაწერებისა, რომლებიც განსაკუთრებით მდიდრულადაა შემკული სიუჟეტური მინიატიურებით: XI-XIII სახარებების მინიატიურები, რომლებშიც ასახულია ქრისტეს ცხოვრების სიუჟეტები. სწორედ აქედან მომდინარეობს იდეა, რომ უკვე ტრადიციად ქცეულ მუსიკალურ ფესტივალთან „აღდგომიდან ამაღლებამდე“ თანამშრომლობით მომზადდეა გამოფენა „აღდგომიდან ამაღლებამდე“.

დამთვალიერებელს საშუალება ექნება იხილოს სიუეტური ციკლს „აღდგომიდან ამაღლებამდე“ შემცველი უნიკალური ხელნაწერების, ხოლო, მეორე მხრივ, უძველესი მუსიკალური ნიშნების შემცველი ხელნაწერების ორიგინალები.

**კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი**
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური
**მარიამ ჯაბიძე** - 577 977 199; pr@manuscript.ac.ge - www.manuscript.ge
მის: თბილისი, მ. ალექსიძის ქუჩა №1/3